ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოლივერ უორდროპის სკვერში განსათავსებელი ოლივერ და მარჯორი უორდროპების მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) დიზაინისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №4

„10" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:
პაატა ჯაჭვლიანი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ . თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

საკონკურსო კომისიის წევრები:
დავით მორალიშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ელგუჯა მაკალათია - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
ვლადიმერ ჭიღლაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე;

საკონკურსო კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული კონსულტანტები:
ნინო ხატისკაცი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მერის მოადგილე;
ია მაქაცარია-ჩხაიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;
ფრიდონ საყვარელიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი;
ირინე საგანელიძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:
სოფიკო ვაჩეიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაია კვარაცხელია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილების უფროსი.
სალომე კახიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის თანამშრომელი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
საკონკურსო კომისიის წევრი:
ლევან მიქავა – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
საკონკურსო კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული კონსულტანტი:
თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:
ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოლივერ უორდროპის სკვერში განსათავსებელი ოლივერ და მარჯორი უორდროპების მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსში **(№1661)** მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

განიხილეს:
თავდაპირველად, მოწვეულმა კონსულტანტმა, ნინო ხატისკაცმა, საკონკურსო კომიიის წევრებს აცნობა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) საექსპერტო საბჭომ მიმდინარე კონკურსში თავი შეიკავა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისგან (წერილი N06-14/15161309).

ამის შემდგე საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები, განხილვისას აღმოჩნა, რომ:

- **ფიზიკური პირის დავით მინდორაშვილის** მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი არ არის დამოწმებული ხელმოწერით.
- **ფიზიკური პირის ავთანდილ ანთაძის** მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი არ არის დამოწმებული ხელმოწერით, ასევე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არ არის CD დისკი.

ფიზიკური პირის რევაზ ხასიას მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში ვერ ირკვევა არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი პრინციპი, თუმცა ქანდაკების ზომებსა და არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითად პრინციპზე კონკურსანტმა ისაუბრა საკონკურსო კომისიის სხდომის გახსნის ეტაპზე და საკონკურსო კომისიის წევრებთან ერთად აღნიშნული მოისმინეს სხვა კონკურსანტებმაც.

- **ფიზიკური პირის გიორგი ჩალაძის** მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში მითითებული არ არის ქანდაკების დასამზადებლად საჭირო გამოსაყენებელი მასალა, ასევე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არ არის ოლივერ უორდროპის სახელობის სკვერში ჩასმული ძეგლის ფოტომონტაჟის ზომები, თუმცა გამოთქმული შენიშვნები კომისიას არ შეუშლის ხელს მის შეფასებაში, ვინაიდან კონკურსანტს გამოსაყენებლი საჭირო მასალა წარმოდგენილი აქვს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში. ხოლო ესკიზის შესაბამისად დასამზადებელი ქანდაკების ზომებზე კონკურსანტმა ისაუბრა საკონკურსო კომისიის სხდომის გახსნის ეტაპზე.
- **ფიზიკური პირის თენგიზ აბრამიშვილის** მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი არ არის დამოწმებული ხელმოწერით, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არ არის რეკვიზიტები (დანართი N1), ასევე სკვერში ჩასმული ძეგლის ფოტომონტაჟში მითითებული არ არის ზომები, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ცალკე დანართის სახით და ამის შესახებ კონკურსანტმა ისაუბრა საკონკურსო კომისიის სხდომის გახსნის ეტაპზე, რაც შეეხება წარმოდგენილი ესკიზის დასამზადებელ მასალას, კომისიამ განსახილველად აირჩია ქანდაკების ბრინჯაოთი დამზადების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.
- **ფიზიკური პირის ხატია ლარიაშვილის** მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში მითითებული არ არის ქანდაკების დასამზადებლად საჭირო გამოსაყენებელი მასალა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში. განმარტებითი ბარათი და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა დამოწმებული არ არის ხელმოწერით, თუმცა აღნიშნული შენიშვნები კომისიას არ უშლის ხელს შეფასებაში.
- **ფიზიკური პირის დავით ტაბატაძეს** მიერ წარმოდგენილი ესკიზი არ შესესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს კერძოდ, არ არის **ნატურალური ზომის (Life-size)** . აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკონუკრსო დოკუმენტაციის 1.9 პუნქტის მეორე ნაწილის მიხედვით მოხდეს აღნიშნული **კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.**
- **ფიზიკურის პირის დავით ტყემალაძის** მიერ წარმოდგენილი ესკიზი არ შესესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს კერძოდ, არ არის **ნატურალური ზომის (Life-size).** აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკონუკრსო დოკუმენტაციის 1.9 პუნქტის მეორე ნაწილის მიხედვით მოხდეს აღნიშნული **კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.**
- **ფიზიკური პირის პაპუნა დაბრუნდაშვილის** მიერ წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტები შეიცავს არასრულ მონაცემებს კერძოდ არ არის მითითებული ბანკის დასახელება და ანგარიშის ნომერი), წარმოდგენილ ფოტომასალაში არ არის მითითებული ქანდაკების შესაბამისი ზომები, ხოლო განმარტებითი ბარათიდან არ ირკვევა არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი პრინციპი, თუმცა აღნიშნული შენიშვნები კომისიას არ შეუშლის ხელს კონკურსანტის შეფასებაში რადგანაც ქანდაკების ზომებსა და არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითად პრინციპზე კონკურსანტმა ისაუბრა საკონკურსო კომისიის სხდომის გახსნის ეტაპზე და საკონკურსო კომისიის წევრებთან ერთად აღნიშნული მოისმინეს სხვა კონკურსანტებმაც.
- **ფიზიკური პირის ჯუმბერ ჯიქიას** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინიდადების, განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია ფოტო მასალა ზომების მითითების გარეშე, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია განმარტებით ბარათებში.

მოისმინეს:

კომისიის წევრებმა ისაუბრეს იმ კონკურსანტების წინადადებებზე, რომელთაც არ მიიღეს დისკვალიფიკაცია.

კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა იმ აზრს, რომ დავით მინდორაშვილის, ავთანდილ ანთაძის, გიორგი ჩალაძის, თენგიზ აბრამიშვილის, ხატია ლარიაშვილის, ჯუმბერ ჯიქიას, პაპუნა დაბრუნდაშვილის და რევაზ ხასიას წინადადებების შერჩევა შეფასება შესძლებელია ამ ეტაპზე არსებული მასალების საშუალებით და

აუცილებლობას არ წარმოადგენს მათთვის დაზუსტების მოთხოვნით მიმართვა, რადგანაც დოკუმენტაციები არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება კონკურსანტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიწვევს საკონკურსო წინადადების არსებით ცვლილებას, ამასთან ყველა ესკიზი მისაღებია ესთეტიკური და კონცეფციალური თვალსაზრისით, თუმცა ყველა მათგანმა ერთხმად აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ქანდაკებების უმრავლესობა გაცილებით საინტერესოა ცალკე აღებული, და უფრო ეფექტური იქნებოდა სხვა სივრცისთვის ვიდრე იმ ადგილისთვის სადაც უნდა მოხდეს მისი განთავსება.

ზემოაღნიშნული განხილვის შემდგომ საკონკურსო კომისიის წევრებმა მოახდინეს საკონკურსო წინადადებების შეფასება საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. (იხ. დანართი N1).

როგორც შეფასებიდან ჩანს, კომისიის წევრების მიერ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფიზიკური პირის, ჯუმბერ ჯიქიას მიერ წარმოდგენილმა წინადადებამ.

სხდომის დასასრულს, მოისმინეს მოწვეული კონსულტანტის, ია მაქაცარია-ჩხაიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის წევრებს შესთავაზა იდეა რომ ეთხოვოს კონკურსანტებს იქნებიან თუ არა თანახმა მათ მიერ წარმოდგენილი ესკიზები შემდგომში საექსპოზიციოდ გამოყენების მიზნით გადაეცეს თეატრის, მუსიკის და კინოს სახელმწიფო მუზეუმს.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ფ/პ ჯუმბერ ჯიქია და არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 2 დღის ვადაში ეცნობოს კონკურსანტებს.

კომისიის თავმჯდომარე	/პაატა ჯაჭვლიანი/
კომისიის წევრი	/ვლადიმერ ჭიღლაძე/
კომისიის წევრი	/დავით მორალიშვილი/
კომისიის წევრი	/ელგუჯა მაკალათია/
კომისიის წევრი	/ნინო ხატისკაცი/
კომისიის წევრი	/ია მაქაცარია-ჩხაიძე/
კომისიის წვერი	/ფრიდონ საყვარელიძე/
კომისიის წევრი	/ირინე საგანელიძე/
აპარატის წევრი	/სოფიკო ვაჩეიშვილი/
აპარატის წევრი	/მაია კვარაცხელია/
აპარატის წევრი	/სალომე კახიძე

KA070186045454115

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377
www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N03/09-3653

26 / ივნისი / 2015 წ.

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილეს ქალბატონ
ნინო ხატისკაცს

ქალბატონო ნინო,

თქვენი წერილის (N 06-14/15161309; 10.06.2015) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) საექსპერტო საბჭო, საზოგადოდ, მხარს უჭერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოლივერ უორდროპის სკვერში, ოლივერ და მარჯორი უორდროპების ქანდაკების განთავსებას ბრიტანელი მოღვაწეების მიერ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. თუმცა, საბჭომ თავი შეიკავა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისგან და მსჯელობა მიზანშეწონლად მიიჩნია მერიის საკონკურსო კომისიის მუშაობის დასრულების შედეგად გამოვლენილ ნამუშევარზე და არა ათივე საკონკურსო პროექტზე, ვინაიდან სამინისტროს საექსპერტო საბჭოს კომპეტენციაში არ შედის საკონკურსო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა.

პატივისცემით

მინისტრის მოადგილე

მანანა ბერიკაშვილი

№06-14/15161309
26.06.-5

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოლივერ უორდროპის სკვერში განსათავსებელი ოლივერ და მარჯორი უორდროპების მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) დიზაინისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასების ამსახველი ცხრილი

N	საკონკურსო კომისიის წევრები	შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალური ქულები		კონკურსანტები								ხელმოწერები
				დავით მინდორაშვილი (139271 ლარი)	ავთანდილ ანთაძე (100000 ლარი)	გიორგი ჩალაძე (126000 ლარი)	თენგიზ აბრამიშვილი (8400 ლარი)	ხატია ლარიაშვილი (128761,35 ლარი)	ჯუმბერ ჯიქია (141000 ლარი)	პაპუნა დაბრუნდაშვილი (113980 ლარი)	რევაზ ხასია (149000 ლარი)	
1	პაატა ჯაჭვლიანი	კონცეფცია და ესკიზი	6	3	3	1	2	3	6	4	2	
		სავარაუდო ღირებულება	4	3	4	1	4	3	2	3	1	
2	ვლადიმერ ჭიღლაძე	კონცეფცია და ესკიზი	6	3	4	1	3	3	6	4	2	
		სავარაუდო ღირებულება	4	2	4	1	4	2	2	2	1	
3	დავით მორალიშვილი	კონცეფცია და ესკიზი	6	4	4	1	3	3	6	3	1	
		სავარაუდო ღირებულება	4	2	4	1	4	3	2	3	1	
5	ელგუჯა მაკალათია	კონცეფცია და ესკიზი	6	3	4	1	4	2	5	4	2	
		სავარაუდო ღირებულება	4	3	4	1	4	2	2	3	1	
6	ნინო ხატისკაცი	კონცეფცია და ესკიზი	6	3	3	1	3	2	6	3	1	
		სავარაუდო ღირებულება	4	2	3	1	3	2	2	3	1	
7	ია მაქაცარია-ჩხაიძე	კონცეფცია და ესკიზი	6	3	3	1	3	3	6	3	1	
		სავარაუდო ღირებულება	4	2	3	1	3	2	2	3	1	
8	ფრიდონ საყვარელიძე	კონცეფცია და ესკიზი	6	3	3	1	3	3	6	3	1	
		სავარაუდო ღირებულება	4	3	3	1	4	2	2	3	1	
9	ირინე საგანელიძე	კონცეფცია და ესკიზი	6	3	3	1	3	2	6	4	1	
		სავარაუდო ღირებულება	4	2	3	1	4	2	2	3	1	
		ჯამური ქულა:		44	55	16	54	39	63	51	19	